

# საბჭოთა საბჭოთა საბჭოთა საბჭოთა საბჭოთა



აგვისტო 1936 წ.  
№ 16  
ფასი 50 კაპ.

ათონის სანატორიუმის დამსვენებელი: — მიწა ემეი: — რატომ ხუთი დღით აღწა მიღისათ სანატორიუმიდან? ცოტახანს უინ დავისვენო, რომ სამსახური მომჯობინებული გამოგცხადდა.



# სიტყვა და საქმე



ნახ. დონის

ექიმი (მარტო):

არაფინ არის. ჯერ აღრეა. თუ დაიჯერეს, ხომ დავიღუბე, მომაკლდება შემოსავალი... მაგრამ.. რას ვამბობ: აკი გუშინ არ მოველოდი, მივიღე მეტი, ვინემ წინად, ხუთმეტი ქალი. ალბათ ზოგ ექიმს ჩემი ქცევა არ მოეწონა. გაზეთში ჩემი განცხადება რომ წაიკითხეს, რა არ მიწოდეს! ნუთუ იმათ მართლა ეგონათ, გავატარებდი ცხოვრებაში დაწერილ სიტყვებს. (ზარის რეკაზე იგი კარს აღებს და შემოდის ქალი). წინასწარ ვიცი, ჩემო კარგო, რისთვის მოსულხარ, ხომ წაკითხეთ განცხადება? არ შეიძლება! კარებში დგახართ! შემობრძანდით. დავკეტო კარი! ხომ წაიკითხეთ გაზეთებში? არა მაქვს ნება!

პაც. ქალი:

თუ არ მიშველენ, დავიღუბე, ვთხოვ დამეხმარო... გაუთხოვარი ქალი ვარ და მომიჭრა თავი, ხომ ხედავ ვტირი, ვიტანჯები, ცერმლი მდის ცხარე.

ექიმი:

არ შემოდია. გაიგებენ, პასუხს მომთხოვენ.

პაც. ქალი:

რას ბრძანებთ? აბა ვინ გაიგებს ჩვენს მეტი ამას?

ექიმი:

არ შემოდია... განცხადება მქონდა გაზეთში...

რა ვქნა! მინდა რომ დაგეხმარო. ნება არა მაქვს.

პაც. ქალი, (ტირის):

ნეტა რაღა ვქნა? რა უფულო ექიმი არის! მიშველენ ოღონდ, და მოგართმევენ ათჯერ მეტს, ვინემ...

ექიმი:

ქალო, ნუ ტირი, თორემ გული მეც ამიჩუყდა.

ზოდი, გაგსინჯო, ეგებ ისე გიშველო რამე.

(ქალს დააწვენს და უკეთებს აბორტს, რომლის შემდეგ სიხარულისგან ქალმა არ იცის რა ჰქნას. ექიმი პალტოს აცმევს. ქალს ავიწყდება ექიმისათვის ფულის მიცემა. ექიმი ქალს უცქერის, ქალი კარებთანაა მიდის).

ექიმი:

თქვენ, უკაცრავად... რედიკული... მგონი... ხომ არა...

ქალი:

ოხ, მაპატიეთ, დამავიწყდა სიხარულისგან.

(ამოიღებს ფულს და მაგიდაზე აწყობს ემშვიდობება და გადის).


ექიმი: (ფულს ითვლის)

ხი, ხი, ექიმებს ჩემი ქცევა, დეე, ნუ მოსწონთ!

ყუმბარა.



ნახ. ი. შმერლინგის



— რა გტკივათ?  
— ყველაფერი თავიდან ფეხებამდე!  
— ძალიან კარგი... აი, ის ორი წამალი ერთი თავისთვის, მეორე — ფეხებისთვის!

## ი ს რ ე ბ ი

ორაიონ (ამერიკა) ერთერთი კინოს კამერაში ერთმა ტუსალმა განიზრახა თავის ჩამოხრჩობა. ასეთა ყოფაქცევისათვის ტუსალი დააჯარიმეს შვიდი დოლარით.

— მამ, ჩაიცინებთ, — ეს ჯარიმა ცოტაა ძალზე.

მდიდარ ჯონისთვის რას შეადგენს დოლარი შვიდი?

— აბა, რას ბრძანებთ? — გიტყვოდათ თქვენ, —

— ხომ ხართ ჭკუაზე? განა იქ ამ გზით არ გროვდება თანხები დიდი?

იქ მსურველები თვითმკვლელობის ვედენი არიან,

რომ მილიონებს გააკეთებს შვიდი დოლარი.

იქ სახელმწიფოს ეხმარება ამრიგად მკვდარი

და სახილმწიფოც არ იკადრებს უთხრას უარი.

ფაშისტების ბანდამ დასწვა ვერა-კრუცის (მექსიკა) მუშების სკოლები. ერთი მასწავლებელი ცეცხლში ჩააგდეს და დაწვეს.

— მერე რა — დასწვეს სკოლები, მასწავლებელი ცეცხლს მისცეს?

წარმოთქვამს რიხით ფაშისტო,

აღშფოთებას ეს რად აწვევს?

ნათქვამი არის, რომ ცოდნა,

კაცისთვის არის სინათლე,

ჩვენც გვწამს ამ ხალხურ თქმულს

აზრის სიბრძნე და სიპართლე,

ცეცხლი ხომ სწორედ სინათლის მომცემი არის ქვეყნად,

ამიტომ ცეცხლი, რომ გვქონდეს კულტურას ვაქცევთ ფერფლად...



# პროფმუშაკი

პროფბილეთების გამოცვლა ჯიგარტრესტ-ში წარმატებით მიმდინარეობდა. მაგიდასთან იჯდა ადგილკომის ახლად არჩეული თავკ-ჯდომარე და დამსწრეებს აჩვენებდა უჯრებს — სად მსახურობდი 1917 წელს? — შეეცითხა ერთს თავმჯდომარე

— ხე-ტყის დამამუშავებელ ქარხანაში.  
— რა ერქვა იმ ქარხანას?  
— ქარხანა ერქვა.  
— არა, მაგას არ ვკითხულობ, ვინა ჩახე-ლობის იყო.

— არ მახსოვს.  
— შემდეგ სად მსახურობდი?  
— ისევ ხე-ტყის დამამუშავებელ ქარხანაში ვმსახურობდი.

— იმის შემდეგ რა საქმეზე მუშაობდი?  
— ისევ ხე-ტყის დამამუშავებაზე ვმუშაობდი.

— შერე არ გახსოვს რა ქვიოდა, ვინა სახელობის იყო?

— არ მახსოვს, მუდამ ხე-ტყის დამამუშავებელ ქარხანაში ვმუშაობდი 1935 წლამდე, ე. ი. ჩვიდმეტი წელიწადი; გასაკვირველია, როგორ არ გახსოვს მე პირადად სულ ზეპირად ვიცი სად ვმსახურობდი, ორი წლის წინად სამალარო დისპანსერში მეკარეთ ვმსახურობდი, შემდეგ შიკრიკათ ვმსახურობდი, შემდეგ სანიტრად ვმსახურობდი, შემდეგ ფოსტალიონად ვმსახურობდი... არა ჯერ ფოსტალიონად იმსახურობდი და შემდეგ სანიტრად.. პროფმუშაკად ვმსახურობდი, შემდეგ არტელ „კვებაში“ ვმსახურობდი... შემდეგ მეჩონგურეთა ანსამბლის სტუდიაში ვმსახურობდი... შემდეგ მეპურეთა არტელ „რაჭაში“ ვმსახურობდი, შემდეგ ისევ ფოსტალიონად ვმსახურობდი, შემდეგ ისევ მეჩონგურეთა ანსამბლში ვმსახურობდი, შემდეგ ისევ სანიტარულ მუშაკად ვმსახურობდი და ახლა ისევ პროფმუშაკი ვარ. სულ რაღაც ორ წელიწადში ამდენი პროფესია გამომიცვლია. ამდენ დარგებში მიმოუშავნია, ამდენი საქმე გამიკეთებია და სად გყოფილვარ ვისთან, როდის, რა საქმეზე, სულ ზეპირად ვიცი, შენი კი ერთი ქარხნის სახელის დამახსოვრება ვაგვიჭირდა?! რა კაცი ხარ შენ!

მზ-ა.

## მხიკა სოღნის კულფმუშაკი

ნახ. ღონის



— ამხანაგო კულტმუშაკო შეგიდგინეთ კულტმუშაობის კალენდარული გეგმა, რომლის მიხედვით დღეს საღამო გვაქვს გთხოვთ გაეცნოთ პროგრამას.

# ტ რ ი ო ლ ე ტ ე ბ ი

### აგარაკამდე

ჯერ შევბუღება ვერ მივიღე და აქ ვიწვევბი.  
შენ ამ სიცხეში სიყვარული რად დაიჩემე?  
რა დროს ეგ არის, ნეტავი რას მიმოედები?  
ვერ შეგიყვარებ... ძლიერ მცხელა ცეცხლი მედნება  
ვერ შეგიყვარებ, თუნდა მდიო ქვით და კეტებით.  
იქ, აგარაკზე ხომ წამოხვალ მოითხარე შენე?  
ჯერ შევბუღება ვერ მივიღე და აქ ვიწვევბი,  
შენ ამ სიცხეში სიყვარული რად დაიჩემე?

### აგარაკზე

ჯერ დასვენების სახლს ვეჩვევი: ცოტა მაცალე.  
შემიყვარეო, რომ მეძახი, ნუ ატეხილხარ.  
ცოტა მოვითქვა სული მწარე, ნუ გამაწვალე,  
(როცა კი ხორცი მოვითხოვე, მაძლევნ ძვალეებს).

ჩემს უკეთესი ველარ ნახე? ვაი შენს თვალებს!  
ამ აგარაკზე მარტოობა ერთი მეხილა!  
ჯერ დასვენების სახლს ვეჩვევი ცოტა მაცალე,  
შემიყვარეო რომ მეძახი, ნუ ატეხილხარ.

### აგარაკის შემდეგ

მემიყვარეო, რომ დამღვედი ქვით და კეტებით.  
თუ ალიმენტის გეშინოდა, რად ამიხირდი?  
მოსაშორებლად ახლა უკვე არ მემეტები.  
შენზე, ბიჭიკო, დავამყარე მე იმედები:  
ფეხმძიმე ვაგვლი შოამზადე ალიმენტები.  
ახლა არ ვღირვარ სიყვარულად, მაშინ კი ვღირდი?  
შემიყვარეო, რომ დამღვედი ქვით და კეტებით,  
აუ ალიმენტის გეშინოდა, რად ამიხირდი?

აღლარაღლარასან





# ქათათუარი „გალოგლაგი“

გამფლანდილო ვრმილე კალანდაძის  
და სერგო გოგინოვის დუეტი. (ჭუ-  
თაისი, ხილის მალაზია არტელის  
„სოციალიზმისაკენ“)

საქათავად ავირჩიე  
მე არტილი „იმედი“.  
სამას თუმანს კბილი გაგვარ,  
გამამართლდა იმედი.  
სანამ ედგა საწყალს სული,  
ვჭამე ცხელი პურივით;  
როცა „სული განუტევა“,  
შემრჩა ნიახურივით.

დაიხსომეთ, მეგობრებო,  
„ლააალი, ლაღი  
ეს სოფელი დუმა არის,  
მოსდექი და თაღე“.

მეც მიტაცებს ღოშას გემო,  
ამ-ვარდა ძრწოლა  
და ნიშანში ამოვიღე  
მე არტილი „ბრძოლა“.  
იქაც სამას ორმოცდა ათ  
თუმანს გაგვარ კბილი,  
არ მოვიკელ ბოზბაში და  
ქათმის ჩახოხბილა.

ისიც შემრჩა, როგორც ხახვი...  
„ლააალი... ლაღი...  
ეს სოფელი დუმა არის  
მოსდექი და თაღე“.

როცა არტილ „ბრძოლისაგან“  
ბლომად ვირგე ძღვენი,  
არტილს „სოციალიზმისაკენ“  
თავზე დავებდღვენი.  
ჩაფიბარე ამ არტილის  
მალაზია ხილის,  
აქ გასაქაფს იმდენს ვხედავ,  
ჭრუანტელი მივლის.

არც აქ მოვწლი ჩემს ხელობას...  
„ლააალი... ლაღი...  
ეს სოფელი დუმა არის,  
მოსდექი და თაღე“.

„მოთლა“, არც აქ მოვეშალე,  
არ ვყოფილვარ ხამი,  
ოთხას თუმანს აიაცილე.  
განაფლანგვის ჯამა.  
როგორც ხედავთ,  
თავს არ ვირცხვენი,  
არ მეტყოფა დალა  
და პირაქეთ სულ ვიზრდები  
და მივდივარ მალა.

შენც აზარდი, მაღავ ჩემო,  
ლააალი... ლაღე...  
არტილები დუმა არის  
მოსდექი და თაღე.

გამყიდველი მეჯიბრება,  
გოგინოვი სერგია,  
გაქათავაში არც იმას აქენ  
ჩემდენი ვნერვია.  
ბლომად ქაფა, სამას თუმანს  
მანც ვერ ააცილა,  
ორივე ვართ არტილების  
ხორციემიტი და ბაცილა.  
ვირას გვიზამს მტერი,  
მოყვარენი გვწყალობენ;  
მიტომ ჩვენი ბაგეები  
ხმა შეწყობით გალობენ:

ეს სოფელი დუმა არის  
„ლააალი... ლაღე...  
კალანდაძე, გოგინოვი  
მოსდექი და თაღე“.

სიკიბო.



— რატომ ასე ბულგოღვენად კითხულობ „განმარტების კანონებს“?  
— ხვალ ცოლს ვირთავ და მიწა თავიდანვე ვიცოდე ყველა კანონები.

## თვალის აკიფი გრუსი, ფულზე არ არის გუსი


ჭუთაისი

ჩემზე ამბობენ, ვერ არჩენსო თვალის იარას.  
ფულს კარგად ვხედავ, მაგრამ თვალში მუწუქს კი-არა,  
და ეს მიტომ, რომ თვალთა ხედვა თითონ მაკლია,  
მაგრამ მითხარით ექიმისთვის ეს რა ნაკლია?

ცხრათვალა



# ვისია ღიზნაკი?



სრულიად შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა მოქ. ვ. ჩახუნა-  
შვილის „უბის წიგნაკი“. არ ვიცით, სად მუშაობს იგი, მაგრამ  
ჩანს, რომ რომელიღაც დაწესებულების ბუხვალტერი არის.

აბორტის აკრძალვის საწინააღმდეგო ჩე არაფერი მაქვს. ცოლი  
არა მყავს და შვილი, ე. ი. გაშვებული მყავს.

კარგია აბორტის აკრძალვა. ყოველწლიურად ჩემ ბიუჯეტში  
ჯეტში შეტანილი მქონდა აბორტისათვის 900 მანეთი, რომელიც  
ზოგიერთ წლებში არც კი მყოფიდა. ამგვარად აბორტის აკრძალ-  
ვის შემდეგ 900 მანეთი წმინდა მოგება დამჩრება წლის ბოლოს  
ბალანსში. ეს მართო მე. ჩემისთანები კიდევ რამდენია?

ასე კარგია აბორტის აკრძალვა.

ეს ერთის მხრით და ერთის მოსაზრებით.

მაგრამ მეორეს მხრით და მეორე მოსაზრებით აბორტის ასე  
უცხად აკრძალვის წინააღმდეგი ვარ. არა, წინააღმდეგი კი არა  
ვარ, მაგრამ საქმე შემდეგია:

კანონი აბორტის აკრძალვის შესახებ ახლახან გამოვიდა. გა-  
მოვიდა და... კაპუტ! აღარ აკეთებენ. რა ჰქნან იმ პირებმა (გან-  
საკუთრებით — მე), რომლებმაც აბორტის აკრძალვის კანონის გა-  
მოცემამდე ჩავიდინეთ, ასე ვთქვათ, ცოდვები? რა ვიცოდით ჩვენ,  
თუ აბორტი აკრძალვობდა! ეს რომ გვცოდნოდა, არ ჩავიდნოდა  
ამ საქმეს. ჩემი აზრით, აბორტის აკრძალვის კანონი ძალაში უნდა  
შევიდეს მას შემდეგ, როცა მოთავდება კანონის გამოცემამდე მომ-  
ხდარი შეთხვევები, ანდა ნებადართული უნდა იყოს აბორტის გა-  
კეთება მ შემთხვევაში, როცა ფაქტი მომხდარა კანონის გამო-  
ცემამდე.

ღიზნ, ეს ასე უნდა მოხდეს.

მე შეიძლება პატიოსანი მოქალაქე ვარ, ანდა, შეიძლება, ყო-  
ველშემთხვევაში, ამერიიდან მაინც მინდა პატიოსანი გავხდე და  
სრული ასი პროცენტით დავემორჩილო სოციალისტური სახელმწი-  
ფოს კანონებს. მე რა ვიცოდ, თუ ასეთი კანონი გამოვიდოდა!  
მართალია, პროექტი წინასწარ გამოვიდა, მაგრამ სწორედ პროექ-

ტის განხილვის განმავლობაში იმის შიშით, რომ მართლა არ აკრ-  
ძალონ-მეტი, დაეფატურდი და... და რა მეშველება თუ მომდგენ-  
თინა, სონია, ქსენია და სხვები? ვინ ვადაიხდის ამდენ ალიმენტს?  
აღარ არის ქვეყნად არც სამართალი და აღარც ღმერთი? ასეთ შემ-  
თხვევებში რატომ არ უნდა მოგვეცეს შეღავათი და დახმარება?  
არც ალიმენტის კანონის ვარ მთლად კმაყოფილი.

საქმე იმაშია, რომ... კაცმა რომ შეილიანი ოთხი ცოლი გაუ-  
შვას, სულ გამოუტყა წირვა მის ჯამაგირს, რადგან თითოეული  
ცოლი წაიღებს 25 პროცენტს. ესეც შენი ჯამაგირის 100 პროცენ-  
ტი, ანუ მთელი ჯამაგირი.

რითი იცხოვროს ასეთმა კაცმა?

აი, ამის შესახებ არაფერია კანონში ნათქვამი. მე გგონია, რომ  
ასეთ დაჩაგრულ პირებს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს და ორ-  
მაგი... არა, ორმაგი კი არა, (თორემ იმაშიაც მონაწილედ შემოგ-  
ლენ გაშვებული ცოლები და იმასაც წაიღებენ), ორი ჯამაგირი  
უნდა მოგვეცეს: ერთი საალიმენტო, ხოლო მეორე — ჩვენი საარ-  
სებო. თორემ ახლა რასა ჰგავს! ერთი ადგილიდან მეორე ადგილას  
ნალვა გვიხდება, რომ თავი დავიძვინოთ ალიმენტებისაგან. ამ  
მალვასა და მგზავრობაში ერთი ალიმენტის ოდენა მაინც იხარ-  
ჯება.

ჩვენზე ამბობენ, რომ — ბუხვალტერი დირექტორის მარჯვენა  
ხელიაო. თუ კი მართლაც ასეა, რად არ გვეწვევენ ანგარიშს და არ  
იცავენ ჩვენს ინტერესებსაც!

ამბობენ — ცხოვრება გაუმჯობესდა, საამური გახდაო... მართ-  
ლაც ასე იყო აბორტის აკრძალვისა და ალიმენტის კანონის გამო-  
ცემამდე. მაგრამ რაც ეს კანონი გამოვიდა, გაუმჯობესდა და გა-  
საამურდა კი არა, (სხვებისთვის რა მოგახსენო), ჩემთვის პირი-  
ქით გახდა.

მასალას ვაქვეყნებთ იმ მიზნით, რომ ავტორმა მოიკითხოს  
და წაიღოს თავისი „უბის წიგნაკი“. პოვნისთვის არ ვსთხოვთ  
ჯილდოს. პირიქით ვაძლევთ ზემოთ მოთავსებული მისი მასალის  
შონორარს 100 მანეთს. რედაქციაში იკითხოს:

ქმრა

## ნიანგი სარეწაო კავშირის საზაპრო არტელეზში

დიდი ხანია ვფიქრობდი შემემოწმებია სარეწაო კავშირში შე-  
მაველი სავაჭრო არტელეზი. ავიღე ფანქარი და ჩემი ბლოკნოტი  
და გავუდექი გზას. ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ვნახე აბრა ფე-  
რადი წარწერით: „რეკორდი“, წერტილი № 8. წავიკითხე. გამიხარდა:  
ალბათ აქ მართლა რეკორდი იქნება დამყარებული-მეთქი.

შევედი. ვნახე, რომ გრიგოლ ბუზიაშვილის ყიდის სიროფიან  
წყალს.

— ჩემო გრიგოლ, დამისხი ერთი ჭიქა წყალი შენებურად!  
მართლა მისებურად დამისხა წყალი. მომივიდა გული და მო-  
ვითხოვე საჩივრის წიგნაკი.

— მომეცი საჩივრის წიგნი. შიგ უნდა ჩავსწერო, რომ ორ  
წვეთ სიროფს ასხამ და ჭიქებს არ ავსებ.

— არა მაქვს წიგნი და სადაც დიდი სამართალი ნახო, იქ მი-  
ჩივლე! — იყო მისი მკვახე პასუხი.

პურის საყიდლად შევედი არტელი „რაქს“ მე-43 წერტში.  
კოსტა მელაშვილი მაშინვე ვიცანი. ერთხელ მან, როცა მე-3 სავა-  
ჭროში მუშაობდა, პური დამაკლო. მაშინ მაგრად შევეჯორე და  
ვიფიქრე — ახლა უკვე მოჰკვიანებული იქნება-მეთქი, მაგრამ  
თქვენც არ მომიკვდეთ.

— კოსტა, მიჩვენე თქვენი საჩივრის წიგნი.

— საჩივარი თუ გინდა, მიმართე სუდიას. აქ პურის წერტილი  
და არა „ოკრუჟნოი სუდი“.

ვიფიქრე: — მოდი მე-52 პურის წერტში შევივლი და ვნახო  
ჩვენი მიხაკო რაჰველიშვილს აქვს თუ არა საჩივრის წიგნი-მეთქი.

— მიხაკო, თქვენი საჩივრის წიგნი მიჩვენე თუ კაცი ხარ.

— საჩივრის წიგნი რას ჭვია? პირველად მესმის! — მიპასუხა  
მან. — ერთჯერ დავითვერი და ვილატამ რომ მტემა ქუჩაში, მი-

ლიციის მე-10 განყოფილებაში ვიჩივლე... ჰოდა საჩივრის წიგნი  
მილიციას სჭირია. ჩვენ რად გვიხდა!

წამოვედი მაგრამ გულმა მაინც არ მომიტოვინა და ალავერდო-  
ვის ქ. № 9 მიხა აბაიშვილთან შევიარე.

— გამარჯობა მიხა. ვიცი რომ საჩივრის წიგნი გექნება და  
თუ კაცი ხარ მიჩვენე, ვნახო, თუ რამე ცოდვები მაქვს.

გაწითლდა ჩვენი მიხელი. გადმომაწოდა წიგნი და თვითონ  
კი კარში გავიდა. გადავშალე წიგნი, მაგრამ რას ნახავ: წიგნის  
ყდაზედაც კი იყო საჩივრები დაწერილი, დაგვექი და ვიანგარიშე,  
თუ ვისთვის რამდენი გრამი დაუკლია, მივიღე 15 ფუთამდე. რამ-  
დენიმე ფურცლები კი სრულებით ამოხეული იყო (ალბათ იქ მეტი  
იქნებოდა). ვუცადე. ვუცადე მაგრამ მიხა არ შემოვიდა. გავუდექი  
გზას, მინდოდა აველუკა არჩვამე მენახა ლერმონტოვის ქ. № 6,  
წერტილი დაკეტილი დამიხვდა, თითქმის ერთი საათი ვუცადე, მაგრამ  
არ მოვიდა. შევეკითხე იქვე რიგში მდგომ მომხმარებლებს. ზოგმა  
მითხრა — წუხელ მგონი ქეიფობდაო, ზოგმა — პანმელია არისო  
და ზოგმა-რა.

რა მექნა. ავდექი და წამოვედი.

ძალიან მომშივდა. ვიფიქრე: თუმცა პური ვერ ვიყიდე, მაგ-  
რამ ავერ არტელ „მშრომელთა კვების“ № 32 სასადილოა და ცო-  
ტა ხანს დავისვენებ. და ვისადილებ-მეთქი. იქ თურმე ყოფილ  
გამგედ სილიბისტრო ვნუქიძე. ჰო, მინდოდა მესადილა. მაგრამ  
შარშანწინდელი მიცვალებული ბუზების გვამებმა, კედლებზე და  
იატაკზე მტვერმა, საშინელმა სუნმა სიმშლილი კი არა, თავიც კინა-  
ლამ დამავიწყეს და გულარეული წამოვედი დალილ-დაქანტულ  
შინისკენ.

3. ონტოფელი



# ნიანგის მოგზაურობა გურიაში

(ნიანგის უმადოლო ტელეფონით გადმოცემული)

ნიანგის უმადოლო

## მცურავი ქალაქი

**სამტრედიის დილის შვიდი საათია.**  
ჩვენი მატარებელი სადგურს მიუახლოვდა, მიაკივლა და შეჩერდა.

ყველა ფეხზე წამოვხტი. ნიანგი ვაგონის კარებში იდგა და კონდუქტორს ეკითხებოდა:

— რა ამბავია? რატომ მატარებელი სადგურში არ შედის?

— ხომ ხედავთ გარშემო წყალში ვართ, — ამბობს კონდუქტორი. — ალბათ მდინარე აღიდებულა, კალაპოტი გადმოუხეთქავს და ქალაქი წყლით დაუფარავს.

— მერე და არ შეიძლება რაიმე საწინააღმდეგო ღონისძიებების მიღება?

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ, ამბობენ, სამტრედიელები განზრახ არ ლებულობენ საწინააღმდეგო ზომებს, რადგან ზაფხულობით წყლის ქვეშ არიან და სიცხისაგან თავს იფარებენო.

მატარებელმა კიდევ მიაკივლა სადგურს და ცურვით მიადგამას. ბაქანზე არავინ ჩანდა.

ვაგონიდან გადმოვედით თუ არა ნიანგთან შინაური ფრინველების და ცხოველების დელეგაცია მოვიდა. დელეგაციის თავმჯდომარემ ნიანგს შემდეგი მოახსენა:

— ამხანაგო ნიანგო, სამტრედიის ცხოველები და ფრინველები უპირველეს ყოვლისა სასტიკ პრეტესტს ვაცხადებთ ცილისწამებით, თითქოს ჩვენ კმაყოფილი ვიყოთ ქალაქის წყლით დაფარვის გამო. კამეჩებს, ღორებს იხვებს და ბატებს რა უშავთ, მათთვის წყალი „ცხონებაა“, მაგრამ ძროხები, ცხვრები, ქათმები სხვები ხომ მუდამ წყალში არ ვიქნებით. ჩვენ მოვითხოვთ ბალახით ამწვანებულ მინდვრებს და ეზოებს. გთხოვთ ამხანაგო ნიანგო დაგვეხმაროთ!

ნიანგმა მას დახმარება აღუთქვა. მანქანაში ჩაჯდა, ჩვენი გვერდით მიფუჯავით და გავწიეთ გურიის მიმართულებით.

## ვაი-ვუი.

**ჩოხატაური.** საღამოს შვიდი საათი.  
სამტრედიიდან საჯავახომდე მშვიდობიანად ვიმგზავრეთ. ხელში რომ ღვინით სავსე ჭიქები გვქონებოდა ერთი წვეთი ღვინო არ დაგვექცევოდა.

ჩვენ ვიჯექით ნიანგის ახალი კონსტრუქციის მანქანაში, რომელიც წყალში ისე მისცურავდა, როგორც პატარა ხომალდი. სამაგიეროდ ჩვენ მოგვიხდა საჯავახოდან ხმელით მგზავრობა. გვერდით ნიანგის ძველი მეგობარი ანათემა გვიჯდა, რომელმაც შემომხედდა და მოპარსულ უღელსებში ჩაიკინა, — რაშია ამხანაგო ანათემა საქმე? — შევეკითხე მე. პასუხის მაგიერ მან ღიღინი დაიწყო.

**მივალ გურიაში მარა, სული წინწინ გაიბარა.**

— კაცო, არ იტყვი რაშია საქმე? — ხელმეორედ შევეკითხე მას.

— ცოტა მოითმინეთ და შოფერი თითონ გეტყვით! — მიპასუხა მან.

და მართლაც ცოტა ხნის შემდეგ შოფერმა მანქანა დააყენა და მოგვმართა:

— წასვლა შეუძლებელია, გზა არ ვარგა, შეიძლება მანქანა გადაგვიბრუნდეს.

— როგორ? — წამოიძახა ნიანგმა, ნიანგს უკან დახევა არ სჩვევია.

ამის შემდეგ სხვა გზა არ იყო გარდა საჯავახო-ჩოხატაურის გზისა.

ანათემას ღიღინს მეც ავეყვი, ნიანგმა ბანი მოგვცა და სიმღერით შევუდევით საჯავახოს აღმართს. ჩვენი მანქანა ისე მიქროდა, რომ საათში ძლივს გავიარეთ ერთი კილომეტრი. მალე ჩვენი სიმღერა შეიცვალა „ვაი-ვუის“ სიმღერად. სანამ ჩოხატაურში ჩავიდოდით, მანქანა ათჯერ გადაგვიბრუნდა. ამქამად არც ერთი ჩვენგანს სახეზე კაცის ფერი არა გვაქვს. სხულის არც ერთი

თი ნაწილი თავის ადგილას არ მოგვეპოება, მაგალითად ჩემი მარჯვენა ფეხი ანათემას მარცხენა ფეხად აქვს გაკეთებული, მისი მარცხენა ხელი ჩემი მარჯვენა ხელია, და ასე. ნიანგს ამ გზის შესახებ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ჩოხატაურის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. (მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით შემდეგ).

## ნიანგის ორდენისათვის.

**სოფელი განახლება.** მეორე დღის ათი საათია. საინტერესო ყოფილა ღამე გურიაში, მაგრამ ნიანგის ნებართვის გარეშე ვერაფერს მოგწერთ, გარდა იმისა, რომ ვიყავით სტუმრად ერთერთ ოჯახში, სადაც ნიანგმა რამდენიმე ღვინის მსმელი ენტუზიასტი გადაყლაპა. ჭირისუფლები გვთხოვენ მათ შესახებ სამედიცინო განცხადებების მოთავსებას ჟურნალში. ნიანგს საწინააღმდეგო არაფერი აქვს. სოფელი განახლება შევლად ამაღლება. ჩოხატაურიდან ერთი საათის სასიარულოა. ჩვენ ვიარეთ ხუთი საათი. ჩოხატაურიდან განახლებამდე მიდინაროთ გზატკეცილით, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით. ყოველ მენტუთე-მეათე საუბარზე გზაში თქვენ შეგხვდებით წუმბიანი ორმოები, რომლებშიც ღამით (ღლით შეიძლება შემოუარო) თავიდან-ფეხებამდე გადაეშვები, საიდანაც ამოსვლა მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუძლიათ.

ნიანგს ძალიან მოეწონა ეს გზა, როგორც არა ჩვეულებრივი გზა ჩვენს ქვეყანაში, რისგანაც განზრახვა დაებადა ზოგიერთი პირები, რომლებიც ზრუნავენ ამ გზის ბედობაზე, ნიანგის ორდენზე წარადგინოს. სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვა მასზე სკოლის ახალმა შენობამ. აქ ნიანგის საორდენო არავინაა, მაგრამ მადლობის ღირსი კი არიან...

## ტელეფონის გაგვა

**ნავომარი,** დღის 5 საათი.

— ეს ის ნავომარია, სადაც წინად ღიღი ბაზრობა იცოდნენ? — ეკითხა ნიანგმა.

— დიახ, — უპასუხეს ნავომრელებმა. — ძველი ბაზრობა ჩარჩვაქრებისთვის უფრო იყო მოწყობილი, ვინც ხალხისთვის.

— ძველ ბაზრობა თუ არ ვარგოდა, ახალი მოგეწყობ. მე შენ გეტყვი ადგილმდებარეობა არ ვარგა თუ? — ჩაილაპარაკა ერთმა ნავომრელმა.

— ეგებ ამ ამხანაგმა მოგვეხმაროს ამ საკითხზე! — თქვა მეორემ. ნიანგს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა და უბის წიგნში ჩაიწერა.

— ტელეფონი თუ გაქვთ? — იკითხა ნიანგმა.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო! ტელეფონი ჩვენ გურიაში ყველაზე ადრე გვქონდა, წამობრძანდით მე თვითონ გამგე ვარ ფოსტა-ტელეფონის! — და ნიანგის წინ აიშართა პატარა ტანის კაცი, რომელსაც მაშინვე გავყვივით. ტელეფონის გამგემ მილი ყურზე მიიღვა.

— ჩოხატაურო... ჩოხატაურო... აა, რაო? არ გცალიო... აა, ჩოხატაურო, აა, ჩოხატაურო, ჩოხატაურო, ჩოხატაურო! თავზე დაგარტყი კეტი და ურო... აა? შენ ბიჭო, ჭკუით იყავი... ნავომარს ელაპარაკები? ნავომარს? შტო? შტო? რას მეპარუსკები, ბიჭო? რაეა, შენზე ნაკლებად ვიცი რუსული თუ? აღმასკომი მომეცი... აღმასკომი? რაო? ვერ გაიგე? აღმასკომი არ იცი? ერთი ამას შეხედეთ, ისპალკომი ბიჭო, ისპალკომი... თავმჯდომარე უნდათ... აა? თავმჯდომარე! აა? ვის უნდა? რა შენი საქმეა ვის უნდა? აა? ისე არ შეიძლება გამოძახება? აა. უთხარი მოქალაქე ნიანგს უნდათქო... აა? რაო? ჭკუით ვიყო? ჭკუით შენ იყავი, მე ყოველთვის ჭკუით ვარ.. აა? რაო?, არაფერი წამომცდეს? რა უნდა წამომცდეს? რაო? საშიში კაცია? აა? რაო? მესმის... კრინტს არ დაეძრავ. აა.. კი... კი...

— რა ჩენი, ამხანაგო? — შევეკითხა ნიანგი ტელეფონის გამგეს

— მე?...

— ო, შენ?

— აა... კრინტს არ დაეძრავ..

— დაუძახე თუ არა?

(გაგრძელება იქნება)

ნიანგის უმადოლო



დილა არის მზიანი,  
ოთახიდან გავდივარ,  
ტფილისს ვტოვებ, ვისვენებ,..  
მალაყებს გადავდივარ..

გულში ვფიქრობ; ქურდებო,  
ველარ მომეკარებიო:  
„ზაგრანიჩინი“ საკეტო  
დაგდული მაქვს კარები.

ღამე გვიან დავბრუნდი,  
კიბით, მინაბნელებით,  
ქურდი დამხვდა ოთახში  
გაუკარი ხელები.

რომ მიმყავდა სახლის წინ  
მეწოვებ შემოსვლა, —  
სიხარულით ქუჩიდან  
ქვაფენილზე შემოსტა:

და შესძახა, თითქოს გულს  
მოხვდა შვების მალამო:  
— „საღოლ ჩემო მანუკ-ჯან,  
აღვიქუმ - საღამო“.

მელანი

რამე-რუმე

კალინინის ქარხანა  
მიღწევით თავს გვაწონებს;  
ხშირად უშვებს მასიურ  
მონმარების საწოლებს.

მაგრამ მომხმარებელი  
„ამაგს“ ველარ უწონებს,  
ფასები აქვს ისეთი,  
თვალებს ველარ უსწორებს.

ერთ, წყვილ საწოლს უბადოდ  
ასოც თუმნად ყიდიან,  
ნახულობენ მუშტრები,  
თავს აქნევენ... მიდიან,

ხილით მომარაგება  
გამოკეთდა, ცხადია;  
მაგრამ ყურის აწევა  
ზოგის ისევ მწადია.

კილო ჰამიდორისთვის  
მოქალაქე მრავალი  
ხშირად დამინახია  
გარეთუბანს მავალი.

სანი.

ი შვიათი დღე

(ღმრთა-ელვა მუთაისიდან)

დღეს კომუნალური ბანკის მუშაკი ამლე-  
ტი ორკოლიანი სამსახურში ფხიზელი გამო-  
ცხადდა და კლიენტისათვის არ მოუთხოვნი-  
ა მალარიჩი ბანკიდან ფულას მიღების გამო.  
კაკუნა.



ახს. ნიანგო! ტფილისში, პლახანოვის ქ. № 146 მცხოვრებნი შეტად კმაყოფილი ვართ იმ „მწრუნველობით“, რომელსაც იჩენს ჩვენს მიზართ სახლის მართველობა. ჩვენ არ გვჭირდება (განსაკუთრებით ზაფხულობით) ზღვის კურორტებზე სიარული, რადგან საკმაოა წვიმის მოხვ-ლა, რომ დასახლებულ შენობის ყველა ბინები ზღვის კურორტებად იქცენ. აი ჩვენი ბინების პროფილი წვიმიან. დღეს, ნარი.

ქაფისტები

როგორც ქუთაისის ქაფისტებმა გამოიკ-  
ვლიეს და დაამტკიცეს მათი ხანგრძლივი  
მუშაობით, ქაფი აქვს არა მარტო ლუდს,  
არამედ სხვა საგნებსაც. მაგ.  
ჭრელაშვილმა სახეაჭრობის კურსელის მა-  
ლაზიაში ქაფი აღინა საინებს, ფანჯრის მი-  
ნებს და სხვა მუშაობა - ქურჭლეულობას  
(ჯილდოდ მიიღო უფადო შვებულება).

გ. შარაშენიძემ და იოსებ ფულარიამ (ბა-  
რლას ძმაა. იხილეთ „ნიანგის“ მე-15 ნომერ-  
ში წერილი: „ორი ყლაპასე“) იმდენი ქაფი  
აღინეს ინგ. არტელ „ოქტომბერს“, რომ  
შიგ ცურავენ.

ჭეიშვილმა, ლულაძემ და ჭაბუკიანმა არ-  
ტელი „რიკრაფი“ ქაფის დენით წყვილიად  
აქციეს. პროკურატურა აპირებდა მათ და-  
ჯილდოვებას, მაგრამ ამათ უარი თქვეს თა-  
ვისათვის პასუხისმგებლობაში მიცემაზე და არხე-  
ინად დადიან.

ცინცაძემ, საზვეების სასადილოს გამგემ,  
სხვადასხვა ნივთებისაგან მიიღო ქაფი, რო-  
მელმაც მას მისცა რამდენიმე ათასი მანეთი  
წმინდა მოგება.

ს. გოგინოვმა ხეხილის საეკონომიკო ქაფი  
აღინა ბაღს, მსხალს, ატამსა და სხვა ხილს,  
რომლიდანაც წმინდა მოგება დარჩა 3000  
მან.

არანაკლებ საინტერესოა ქაფის მიღების  
მეორე საშუალება, რომელიც გამომუშავე-  
ბული აქვს შლომ იაკობაშვილს.

ის დამსახურებული სპეკულიანტია არა  
მარტო ქუთაისის, არამედ მთელი საბჭოთა  
კავშირის მამრებითაც. მაგრამ მისი მთავარ  
ი მოღვაწეობა მინც ქუთაისში ხდებოდა

(იხილეთ ამის შესახებ ქუთაისის გაზეთები).  
შლომმა ცეკავშირიდან გამოიტანა სოფლის  
ფონდის ფართლეული, თავის სახლში წაი-  
ტო და უნდოდა მისგან პირველი ხარისხის  
ქაფის მიღება, მაგრამ მილიციამ შეუშალა  
ხელი და ფართალი ჩამოართვა. ბეგრის ეგო-  
ნა, რომ ამის გამო იგი თავს ამოპყოფდა  
გამსახლში მაგრამ ხელიც არავის უხლია.



მე გახლავარ შლომში  
კაცო ვეფხვი და ლომი.  
ამაყობს იგი და... არცა სთეს, არცა მკის  
მარამ მაინც შლომობს.  
ხლისტი.





მშობლების მეოთხე შვილი. მასზე ფეხ-მძიმების დროს დედამ აპოკრიფი უნდა გეკეთებინა, მაგრამ ამ დროს გამოიცა კანონი აპოკრიფის აქციაზე, რამაც ჩვენს დაად საშუალებას არ დაუკარგა ავიაციის ასეთი შესანიშნავი ინჟინერ-კონსტრუქტორი. ამჟამად მუშაობს თავისი სახელობის თვით-მფრინავზე, რომელსაც შეედრება პერკინ-დეკლაროდან აერენა და დატრენა მიწის მცირე ფართობზედ კი. რამდენჯერმე შემოტრენილი ჰქვს თითვე პოლუსი. ეშვადება მთვარეზე გასაფრენად.



მარშალი. იშვიათი სტრატეგი და სამხედრო თეორეტიკოსი. მრავალჯერ დაამარცხა მოწინააღმდეგე ჯარი. „რისგა მოდის.“ — ამოხდნენ მტრები მასზე და გარბოდნენ. მსოფლიო კომუნისმის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულნი. დამთავრებული აქვს სამხედრო აკადემია. დაჯილდოვებულია ლენინისა და სხვა ორდენებით. მასზე ფეხმძიმების დროს დედამ უნდა დაეცია მოსლა, რადგან ქმარმა მთავრად, მაგრამ აპოკრიფის აქციაზე და ბავშვთა ბაგების მოწყობის შესახებ გამოცემულმა კანონმა, დედამ განზრახვავს ხელი ააღებინა.



გამონილი მეცნიერი, მეორე მიწურინი, რომელმაც გადატრიალება მოახდინა ბუნებაში. მისი აღმოჩენის მიხედვით სპეციალური მცირედიანი განაყოფიერება, რომელიც კარგი მოსავალი მთვითებს. იგი ვაგარდა უპატრონი ბავშვთა თავშესაფარში, ახალ-შობილი იპოვნეს სხალის შესასწავლში. ყელზე დიდს წარული ჰქონდა მიმდღი: „შეცვარებულმა შემატდინა და მიმტოვა, აპოკრიფი აქციაზედ იყო და ექიმებმა უარი მიიბრეს“.



მსოფლიოში სახელგანთქმული მათემატიკოსი — აბტრონომი, ფილოსოფოსი და უღიღინი მეცნიერი, რომელმაც კაცობრიობას გაუხსნა ბუნების მრავალი საიდუმლოებანი წელს შეუსრულდა 75 წელი. აი, რას გეყოფილხარ მის ავტობიოგრაფიაში: იდეალიზმი-სამი თვის ფეხმძიმედ იყო ჩემზე და აპირებდა შეუღლის მოშლას, რომ ამ დროს საბჭოთა მთავრობამ 1936 წელს, ე. ი. 75 წლის წინად გამოცა კანონი აპოკრიფის აქციაზედ. ანგვარად ჩემი მშობლები არიან საბჭოთა მთავრობა და აპოკრიფის აქციაზედ კანონი.



მშობლების მესამე შვილი. მასზე ფეხმძიმედ დედამ უნდა დაეცია აპოკრიფის აქციაზე, მაგრამ დედამ გამოცა კანონი აპოკრიფის აქციაზე, ასე განდა ექიმ-პედიკორი, რომელმაც მუშაობის ტრადიციული წესები შეიცვალა: „დამარცხებული სიკვდილი“, რისთვისაც წელს ექიმთა მსოფლიო კონგრესზე მან მიიღო პრემია და სწავლის უმაღლესი ხარისხი. ამჟამად აღწევს ცნება ახალგაზრდობის ასაკის შენარჩუნებაზე რაც აღბაინის სიცილებს ახანგაძლიერებს სამოთხეჯერ.



მსოფლიოში ცნობილი მომღერალი ქალი. ელასიური ობერების საუკეთესო შემსრულებელი. მისი გასტროლემი ევროპისა და ამერიკის სტაბილური ქალებში ყოველთვის დიდი წარმატებით ტარდება. იშვიათი ხმა და თამაში. მას ქმარი უღიღინს ოსტატად. 1936 წელს რომ არ გამოცემულყო კანონი აპოკრიფის აქციაზედ, აღარ გველაშქრებდა ეს უნიკური მომღერალი, რადგან დედამისი აპოკრიფის აქციაზედ აპირებდა, რომ მშობობა რაობას არ დაეკუთვნებოდა მისი ფიგურა.



მცხოვარი მწერალი. მისი ნაწარმოებები გადაიარგნილია ყველა ენაზე. აღუახან თავისი ცხოვრების 75 წლისთავზე, დამთავრა ახალი შრომა: „ბორცხსხული ოცნება“, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის განის წარმოადგენს. არის მშობლების მეშვიდე შვილი. აპოკრიფის აქციაზედ კანონის რომ არ მოხერხდა, დედა აპოკრიფის იცოთებდა. ასე ვადაჩნა ცნობილი მწერალი. მშობლებმა არსებული კანონის თანახმად მის დაბადებაზე მიიღეს რადიკალიზმი ათასი მანეთი გეოლოგი.



ბავშვი, რომელიც დედამ და შეხარის ამ ქვეყნად გაჩენას. იგი გამოვა საზოგადოებისა და კაცობრიობის ეთიკადლოგისათვის უდიდესი მებრძოლი. მაგრამ, არა, ეს არ მოხდებოდა. მისმა უღიღინმა დედამ, უსინდისო ქმრის თანხმობითა და საზოგადოარი ექიმის შემწეობით მოიშალა მუცელი და დაბადებამდე მოჰკლა ეს მწვენიერი ბავშვი, რითაც ხალხს უდიდესი ზიანი მიუყენა. ზოლი ასეთ მშობლებს, ზოლი ასეთ ექიმებს!





სადურის მორიგის ოთახი. მორიგე ზის მაგლასთან და სამორიგო ყურნალს ფურცლავს. მის მოშორებით ზის დარაჯი და ძილისაგან თავს ჭინდრავს. გარედან ისმის მებისრეების სასტვენების ხმა და ორთქლმავლების ხმაური.

**მორიგე:** — ოი, ღმერთმა ამოაგდოს იმის ოჯახი, ვინც ღამე მუშაობა მოიგონა. ახლა უცხს თბილ ლოგინში უნდა გძინავდეს შენთვის არხენინად (გადახედავს დარაჯს). ივანია!

**დარაჯი:** — ია ზღეს!

**მორიგე:** — შენ ხომ არ მოგერია ძილი?

**დარაჯი:** — იმე, რავე გეკადრებათ, ბატონო, ერთი ღამე კი არა, თუ ვინდა ხუთ ღამეს ვიმორიგებ და ძილი მაინც არ მომეკარება.

**მორიგე:** (ძალზე ამთქნარებს): — ძნელია ღამე მუშაობა. შენ რას იტყვი ივანია?

**დარაჯი:** — ასეა დაკალონებული და ჩვენ ხომ არ შევცვლით.

**მორიგე:** — დაკანონებული რომ არის, ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ მე იმას გიუბნები, რომ ღამე ძილია საჭირო და არა მუშაობა. ხომ მართალია?

**დარაჯი:** — სამაგიეროდ, ბატონო, რომ გამევიცვლებით, ორი დღეღამე ვართ თავისუფალი. მივდგეთ და იმდენი ვიძინოთ, სანამ ლოგინში წოლით გვერდები არ გვეტყინოს.

**მორიგე:** — მე თუ მკითხავს კაცი, ღამე მუშაობა ჭურდებისთვისაა გაჩენილი. ხომ მართალია?

**დარაჯი:** — იმე, რავე გეკადრებათ, ბატონო. ღამე რომ მთლად ჭურდებს დაუთმოთ, დედიო, რავე დევილუპებით. საცვლებსაც კი არ შეგვარჩენენ ტანზე გოუძრობილს. ეგეც რომ არ იყოს, მაშინ მატარებლებიც ხომ უნდა გაჩერდეს და რაღას ემგვანება ჩვენი ცხოვრება!

**მორიგე:** — ხოო, ეგ კი მართალი თქვი, მაგრამ ერთს კიდევ შეგეკითხები: ტელეფონებზე თუ იცი მუშაობა?

**დარაჯი:** — რა დიდი საქმეა, ბატონო. რავეარც კი დააარსკუნებენ, უნდა ვილო იგი ქე რომ ყალიონს ჰგავს და მიიღვა ყურზე და რასაც შეგეკითხებიან, უპასუხო.

**მორიგე:** — მაშ მე რომ ცოტა წვივიძინო. შექნება შენი იმედი, რომ არაფერს ვაფუჭებ.

**დარაჯი:** — იძინეთ, ბატონო, რამდენიც გნებავდეთ. სანამ ივანია ცოცხალია, იმის იმედი მუდამ გექნეთ.

**მორიგე:** — სამაგიეროდ, ჩემო ივანია, ეს ფვარტალი რომ დელიევა, შენი დაჯილდოვება ჩემ კისერზე იყოს.

**დარაჯი:** — მაგისთანა სიკეთეს თუ მიზამთ, სამაგიეროდ მთელ ღამეებს დაგძინებთ და არაფერს არ ვაფუჭებ. (მორიგე წამოწვება მაგიდაზე და თავქვე წიგნებს დაილაგებს, თვალზე კი ქუდს ჩამოიფარებს და იძინებს. დარაჯი სამორიგო სკამზე ჯდება და თავმომწონედ იყურება აქეთ-იქით).

**დარაჯი:** — რა კაია ნაჩაღნიკობა. ზამთარში სიცხე არ შეგაწუხებს და ზაფხულ-

ში სიცხე. დეიკავე ტელეფონი ხელში და ხან იქით დეიძახე და ხან აქით. მეტი ქე რაა შენთვის. საჭირო (მოისმის მორიგის ხვრინვის ხმა). საწყალს რა უტბად ჩივიძინა. იძინე, ბატონო, გოუღვიძებლად. სანამ ივანია ცოცხალია, არაფერს ვაფუჭებ... ხოო, მართლა, ახლა გამახსენდა. გუშინ რომ ადგილკომმა თქვა კრებაზე — ვისაც გინდათ სტრახანოვად მუშაობა, გეგმები ერთითად უნდა გადააჭარბოთო. მოდი, მეც შევუდგები გეგმების გადაჭარბებას. მე ხომ ოთახის დახვეტის მეტი არაფერი მეხება. ჰოდა, გეგმების გადაჭარბებაც ოთახის დახვეტით უნდა დავამტკიცოთ. თუ აქამდე დღეში ერთხელ ვხვეტავდი, აწი ათჯერ დავხვეტავ და ნამდვილი სტრახანოველი ვიქნები (აიღებს ცოცხს და შეუდგება ოთახის დაგვას.. ისე ამბტვერებს, რომ მტერის გამო მორიგეს გამოღვიძებდა).

**მორიგე:** (შეშინებული წამოხტება): — რას შვრები, ივანია! ჰკუაზე ხომ არ გადირიე. რა ამბავია, რომ ოთახში ასეთი მტვერი დაეიყენებია. ჩემი დახრჩობა ხომ არ გინდა.

**დარაჯი:** — დეიძინეთ, ბატონო და გთხოვთ ხელს ნუ მიშლით გეგმების გადაჭარბებაში. მე დღეიდან სტაქანოვულად უნდა ვიმუშაო.

**მორიგე:** — როგორ თუ სტრახანოვერად! განა სტრახანოვერად მუშაობა იმას ქვია, რომ შენი უფროსი მტვერში დახარხო? გააღე ფანჯრები ამ წუთში..

**დარაჯი:** — აბა რატომ თქვა გუშინწინ ადგილკომმა, სტაქანოვერად მუშაობა ვისაც გინდათ გეგმები უნდა გადააჭარბოთ? მეც ვაჭარბებ გეგმებს და თუ ხელს შემეშლი, შივალ ადგილკომთან და ვეტყვი. ვინც სტაქანოვერად მომუშავეს ხელს შეუშლის, იმას პასუხს მოსთხოვენ და დასჯიან.

**მორიგე:** — სისულელეს თავი დაანებე და ის გააკეთე, რაც გითხრას შენმა უფროსმა. სტრახანოვერად მუშაობა შენ არ გეხება. ხომ მიხვდი ახლა.

**დარაჯი:** — მართალს ბრძანებთ, ბატონო?

**მორიგე:** — მართლა გეუბნები!  
**დარაჯი:** — ალბათ სტაქანოვერად მუშაობა იმას ქვია, ვისაც სტაქანით შეიქმნება ბევრი ღვინის სმა და რაღაი ასეა საქმე, აწი მე მკითხეთ.

**მორიგე (იცინის):** — რას ამბობ, ივანია!

**დარაჯი:** — რას და რაღაი სმაზეა საქმე, შევარცხვინე სტაქანით დამლევა. მოგიკვდეს ივანია, რომ ყანწებით არ დალიოს ღვინო და ყველა არ დაათროს. თქვენ ოლონდ წამიყვანეთ ღვინის დასალევიად და თუ არ გასახელოთ, კაცი არ ვყოფილვარ.

**მორიგე:** — რა კვიმატი პასუხი იცი, ივანია. ყური მიგდე, სტახანოვერად მუშაობა იმიტომ არის ახლა დამტკიცებული, რომ ერთმა მალაროს მწგრეველმა, გვარად სტახანოვმა ძალიან ბევრი მადანი მოანგრია და გეგმებიც ძალიან გადააჭარბა. ამიტომ ვინც სტახანოვსავით გადააჭარბებს გეგმებს, სტახანოველს დაუძახებენ.

ხომ გაიგე ახლა რაში ყოფილა საქმე?

**დარაჯი:** — კი მიხვდი, ბატონო. არც ისე ლენჩი ვარ, რომ ვერ მიხვდეთ.

**მორიგე:** — ასე, ჩემო ივანია (ამთქნარებს). ახლა მე რომ კიდევ წვივიძინო, დარაჯი შენებულ ვარ რომ შენ საწინააღმდეგო არაფერი გექნება.

**დარაჯი:** — იძინეთ, ბატონო. ჩემი იმედი მუდამ გექნეთ (მორიგე კვლავ წამოწვება და იძინებს). თურმე რაში ყოფილა საქმე, მე კი ვერ მიხვდი. თუმცა ქე მიკვირდა, ჩვენი მთავრობა ბევრი ღვინის დამლევის რავე დააჯილდოვებდა (მორიგე ხვრინვას ამოუშვებს). რომ იტყვიან: ძილის გუდა არისო, სწორედ ჩემ ნაჩაღნიკზე ითქმება, თვალის დახუჭვა და დაძინება ერთია, (ტელეფონი დარეკს და უსმენს). ვინ ხარ ამ შუა ღამეში რომ არაწკუნებ? მატარებელი მივილო?.. მე რე ვინ გეუბნებ უარს? კვერთხი მოგცე?.. რად გინდა კვერთხი?.. უკვერთხოთ ვერ გამეიფნებს გზას თუ? ვინ გეღაპარაკები?.. მაგი არაა შენი საქმე. მორიგე სადაა?.. ტყეში წავიდა. გადარეული ვინ მიმიშვა ტელეფონთან?.. გადარეულიც ხარ და სმოლოჩიც (ჩამოკიდებს ტელეფონს). კვერთხი მომთხოვა, კვერთხი წმინდა გიორგის აქვს. მოსთხოვე და მოგცემს. (იწყებს მთქნარებას). იმე, ამ ჩემ ნაჩაღნიკს როგორც ვატყობ ამეღამე ძილში უნდა გაატაროს მუშაობა და მე კი არ მეკითხება რომ მეც ვინდა ძილი... — ეს ყველაფერი კარგი, არა ნეტა ძილში ლებულობს ჯამავიროს? თუ ძილზეა საქმე, მე მკითხეთ როგორ უნდა ძილი. რაღაი ნაჩაღნიკების დაძინებით არ იქცევა ქვეყანა, რაღა მაინცდამაინც სტოროეების დაძინებით დაიქცევა (წამოწვება მაგდის ქვეშ და ემზადება დასაძინებლად. ტელეფონი რეკს). იმდენი არაწკუნე, სანამ თავი არ გიტყინოს (ტელეფონის ხმა არ წყდება) იმე, იმ ოჯახს დასაქცევს, რაცხა დეემართა (დგება და მივა ტელეფონთან) რა დეემართა ვინცხა ხარ რომ აღარ გეძინებ ტელეფონის რაწკუნით? მატარებელი მივილო, თვარა პოლიტგანყოფილებას შეატყობინებ? (შეშინდება) პეტრე მეიცადე და ნაჩაღნიკი გიპასუხებთ (აღვიძებს მორიგეს) ნაჩაღნიკ, ტელეფონზე გიძახიან (ვერ აღვიძებს). იმე, ეს კაცი ნეტა ძილში ხომ არ გაპარულა. (მოკიდებს ფეხებში ხელს და ძალზე ანჯღრევს).

**მორიგე (შეშინებული წამოხტება ზეზე):** — რა ამბავია?

**დარაჯი:** — ტელეფონში დამიძახენ, რევიზია მოჰყვება მატარებელსო.

**მორიგე:** — მერე კვერთხი გინ მისცა მათ მატარებელს.


**დარაჯი:** — რა ვიცი მე!

**მორიგე (საჩქაროდ მიუჯდება მაგიდას და თან სახეზე ცივ წყალს მიისხამს):** — ივანია, შენი ჭირივე არ დამლუპო და იმათ არაფერი უთხრა ჩემი ძილის შესახებ, თორემ დევილუპები.

**დარაჯი:** — იცოდე, უქველად დააჯილდოვებ ჩემი თავი ადგილკომს, თორემ ყველაფერს ვიტყვი.

**მორიგე:** — შენი დაჯილდოვება ჩემ სინდისზე იყოს!





— არა მჯერა მათი მგობრობის... უფროს ეგებ გაქდეს და მე ხელი არ მახლოს.

## ბალინჯოთა საჯიშე

(საუბარი ჟურნალის „გლეხთა სახლის“ ღირებურობით)

— როგორ მომსახურებას უწევთ სოფლებიდან ჩამოსულთ? —  
იყო ჩემი პირველი შეკითხვა.

— თქვენ ალბათ თავი გგონიათ „გლეხთა სახლში“!  
— დიახ!

— სკდებით. ეს ყოფილი „გლეხთა სახლია“. მართალია, ეს აბრა ახლაც ამშვენებს მას, მაგრამ ამჟამად მისი დანიშნულება სხვა არის. სოფლიდან ჩამოსული კოლმეურნეები აღარც კი კალრულობენ აქ მოსვლას მით უკეთესი იმ საქმისათვის, რომელსაც ჩვენ ხელი მოვკიდეთ.

— ეს რა საქმეა?

— ძალიან დიდი. მოგეხსენებათ, რომ არსებობს ყოველგვარი ანუ ცხოველთა მოსაშენებელი, ანუ საჯიშე, რასაც უაღრესად დიდი საზოგადოებრივი და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ერთი ასეთი სიმბატიური დაწესებულება, ე. ი. საჯიშე, ჩვენც დავაარსეთ ყოფილ ამ „გლეხთა სახლში“.

— მაინც რა?

— ეს არის „ბალინჯოთა საჯიშე“. თქვენ, როგორც ნიანგის თანამშრომელს, გეცოდინებათ, რომ ამ საქმეს, ე. ი. ჯიშის ბალინჯოების მოშენებას მე ხელი მოვკიდე. ამ 3-4 წლის წინად, ჯერ კიდევ 1934 წელს თქვენი ჟურნალის მე-7 ნომერში ამის შესახებ აი ეს ჩემი სურათია მოთავსებული ასეთი წარწერით:

— გამგამ:— მოდი აქ, ამაზე უკეთეს ადგილს ამ ქუთაისში ვერსად ნახავ.

— ბალინჯო:— არა, ჩემო კეთილო, მართალია, სისუფთავე არ მიყვარს, მაგრამ არც ისეთი ბინძური ვარ, რომ მანდ ვიცხოვრო.


ამ პატარა დიალოგიდან თქვენ კარგად ხედავთ, ამხ. ნიანგოკორო, თუ რა ძნელი იყო ჩვენი პირველი ნაბიჯები. მაგრამ ჩემმა ენერგიულმა მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო და ამჟამად ამ ჩვენს „გლეხთა სახლში“ მოგვეპოვება ყოველნაირი ჯიშის ბალინჯო უთვალავი რაოდენობით. ჩვენ, სხვათაშორის, მოვახდინეთ ბალინჯოსა და კბენარის შეჯვარედინება და მივიღეთ სრულიად ახალი ჯიში, რომლის შეჯვარედინებამ რწყილთან მოგვცა კიდევ ახალი ჯიში. რაც შეეხება ბუზებს მათ მოშენებაში კიდევ მეტი მიღწევები გვაქვს. მხოლოდ ეს კია, რომ ძალიან გახშირდა მათში თვითმკვლელობა. ერთ კერძში დაახლოვებით 30-40 ბუზი იხრჩობს თავს. სამაგიეროდ ეს ერთგვარ მოგებასაც იძლევა. მზარეულმა კერძში მინიმუმამდე შეამცირა ხორცი, რომლის მაგიერობას დამხრჩვალ ბუზები ასრულებენ.

— რა უწყობს ხელს მათ ასე გამრავლებას.

— სიბინძურე, ქუჩყი და, საერთოდ უსუფთაობა. აი ამიტომ არის, როგორც თქვენ ხედავთ, აქ ყველგან ასეთი ანტისანიტარია.

სტუმარი,





დილით ჩაველი თელავში. უნდა მესაუზნა. თელავი ხომ განთქმულია ხინკალით. შევედი ქალაქის კოოპერაციის სასადილოში.

— როგორია თქვენთან ხინკალის ხარისხი? — შევეკითხე გამგეს.

— ხარისხზე რა მოვახსენოთ, მაგრამ ისე ვი გემრიელია.

— ახალი ხორცი გაქვთ?

— აბა რასა ბრძანებთ. ეს სულ რაღაც 3-4 დღეა ერთი კარგად ჩასუქებული ხბო. მოვიტანეს, სწორედ იმის ხორცისაა.

— თუ ალარ მოვაბეზრე, გავეშურე მიწვანისაქენ.

— უკაცრავად, მიწვანის საცეცხლისტებს სად ვხაზავ?

— მაინც ვინ გნებავთ?

— თუ ვინდ რომელიმე აგრონომი.

— როგორ არა, აქ გახლავთ, ახლავთ! —

და ახალგაზრდა თანამშრომელმა ქალმა გამოუძახა ერთ მაღალ კაცს, რომელიც დიმილით გამოვიდა და ჩვეულებრივი ხმით მითხრა:

— ეს მე გახლავარ, რაიმეწვანის სპეციალისტი.

— კეთილი. — ჩამოვართვი ხელი და ვსთხოვე ეამზნა, თუ როგორ მუშაობენ აგრონომები.

— ჩვენ რომ ვმუშაობთ, მტერი იხსნას ასეთი განსაცდელისაგან. ამ ჩვენს ოთახში სკამები რომ არა გვაქვს დასაჯდომად, საბეჭდი მანქანის ყუთს რიგით ვხმარობთ. რაც შეეხება წერას, თქვენც ხედავთ, რომ სამელნე აქ არ არის და კალმისტარიც კი არ მოიძებნება.

გამოვედი სწრაფად და გავეშურე აბრეშუმის ძაფსაღებ ქარხნისაკენ. შევედი დირექციაში, შემომხვდა ფაბრიკის თავმჯდომარე ამხ. მარო გიგაურიშვილი.

— როგორ არის თქვენს ფაბრიკაში სტახანოვური მოძრაობა?

— კარგად.

— მაინც?

— ასეთი სურათი გვაქვს დღეისათვის. იანვარში გვყავდა 54 სტახანოველი, თებერვალში — 35, მარტში — 14, ახლა კი ცოტა ნაკლებია. ჩვენ ისეთი ტექნიკური დირექტორი გვყავს, რომ სტახანოვური მოძრაობა ერთბაშად, პირობების მოუმზადებლად და შეუსწავლად დავიწყეთ, ვინც მეტ დაზგაზე იმუშავა და ნაკლები გამოიმუშავება მოგვცა, სტახანოველი დავარქვით.

ამასობაში უკვე შებინდა კიდევ და პირდაპირ სასტუმროს მივაშურე. მომცეს ერთი საწოლი და მითხრეს მოისვენო. მე გავოცდი: — როგორ მოვისვენო. ხის ფიცარზე, დაყრილ ჩალაზე მოვისვენო? ტფილისიდან ვარ ჩამოსული. კეთილი ინებეთ და ლოგინი დამიგეთ. დაღლილი ვარ და მოსვენება მინდა.

— ალბათ თქვენ პირველად ხართ ჩვენს სასტუმროში და იმიტომ გესამუშებათ. ეს ვრის ლოგინი, ჩვენ უკეთესი არა გვაქვს. თუ უსუფთაობაზე გაიძახით, ეგ ჩვენი ბრალი არაა, ყოველდღე სასტუმროში ხალხი არ იღევა. გასარეცხად როდისღა მივეცი. არა უშავს გაუძელით როგორმე. წუხელის ამ შენს ლოგინზე მსუქანი კაცი იწვა და ბალნინჯოები მან დაასუქა. თქვენ ამდამ აღარ შეგაწუხებენ.

სხვა რა გზა მქონდა. დავრჩი სასტუმროში ბალნინჯოებს წინაღმინდელი მსუქანი კაცი ვეგონე ლოგინში და შემომესიგნ.

მეორე დღეს დილით ადრე აბანოში წავედი, ვიფიქრე: უსუფთაო ოთახში ვიყავი და გავიწმინდები უწმინდურებისაგან-მეთქი.

— ნომერი გაქვთ? — შესვლისთანავე ვიკითხე.

— გვაქვს. თავისუფალია, მიბრძანდით, პაქალუსტა!


ზრდილობიანმა მოქცევამ გული ამიჩუყა და შევედი ნომერში. საცვლების გახდა რომ მოვათავსე, გარედან მექისემ შემომძახა: — ძმობილო, ფრთხილად იარე აბაზანამდის, არსად წაიქცეო.

გავბედე და შევედი ერთი ბეწვა ოთახში. გადავდგი ფეხი თუ არა, იატაკზე მოკიდებულმა უსუფთაობის ხავსმა არ დამინდო და გავიშლართე იქვე.

მოუშვი წყალი, ონკანების ვერაფერი გავიგე: ცივს მოვუშვებ, ცხელი მოდის, ცხელს მოვუშვებ — ცივი მოდის. ამ „შეზავებაში“ საათი და 15 წუთი გავიდა და დამიკაქუნეს — დროა გამოსვლისაო. როგორც შევედი ისევე დაუბანელი, ისევე გამოვიდი. ჩავიცვი სწრაფად და მივაშურე სალაროს. 5 მანეთიანი რომ გადავაწოდე, მოლარემ მომძახა

## ტყვეები და ცხოველები

ნან. მ. დოშვილის.



მხატვარი: — ახლავ უნდა მოვასწრო ამ ნანგრევის გადაღება, თორემ შეიძლება სვალ დილით მის ადგილას მწვანე ხეივანი დამხვდეს

— გაამოს ამხანაგოო. მეც თავი დავუქნიე და გამოვედი ეზოში. ქალაქის საბჭოს კომუნალურ განყოფილებაში აღარ წავედი, რადგან გადმომცეს: — ეგ რამდენი ხანია იციან, მაგრამ ჯერჯერობით საკითხი მართო დღის წესრიგში აქვთ დასმულიო.

თავისუფალი დრო გამოვიყენე და გულდასმით დავათვალიერე ქალაქი. ჩემი ყურადღება მიიპყრო ახლადდაწყებულმა სასტუმროს ღრძმა შენობამ, რომლის კედლები ორ წელზე მეტია, რაც ამოუყვანიათ, მაგრამ დაუმთავრებლობის გამო ნაწილი ისევ დანგრეულია.

— ეს გახლავთ „ბაბილონის გოდოლი“: ამ ბოლო დროს კი „სურამის ციხე“ დაარქვეს, რადგან ფიქრობენ, რომ სანამ ზვარაკად არავინ შეეწირება, მის დამთავრებას არაფერი ეშველებათ! — მითხრა ჩემმა თანამოსაუბრემ.

— როგორ დგას აქ ქალაქის კეთილმოწყობის საკითხი? — შევეკითხე თანამოსაუბრეს.

— რაც შეეხება ქალაქის კეთილმოწყობას, საქმე ასეა: ძველ შენობებს ჯერ ანგრევენ, ქვაფენილებს ყრიან, ხოლო როდის დაიწყებენ მშენებლობას, არავინ არ იცის ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გასულ წელს ქვაფენილი აყარეს, ასფალტი უნდა დაეგოთ, მოიტანეს და დაყარეს დამტვრეული ქვა, მაგრამ „უამინდობამ“ ხელი შეუშალა და გადადგეს ამ წლისათვის. ახლა კი ამბობენ — თანხები არ გვაქვს და მომავალ წლისათვის დავამთავრებთო. დამტვრეული ქვა კი იბნევა და იკარგება. გასულ წელს თეატრისათვის უნდა გაეკეთებიათ ფასადი. დახარჯეს რაღაც 4 ათასი მანეთი, დააყენეს ხარაჩოები, მოანგრეს ზემო ნაწილი და შეაჩერეს მუშაობა — ზამთარმა მოგვისწროო. წელს გაკეთდება თუ არა, ამაზე კომუნალური განყოფილების ფაჩე ამხ. მელიქ გეურქოვიც ვერ გვიპასუხებთ.

გავემზავრე ფოსტისაკენ. შევედი სატელეფონო სადგურში და ვსთხოვე მორიგეს: — გთხოვთ დამალაპარაკოთ მევენახეობის ინსტიტუტს.

— დაურეკეთ! — მიპასუხა მან და მეც ივილე ტელეფონის მილი ხელში.

— საიდან ხართ? ინსტიტუტია? რაო? სახანქრო რაზმია? უკაცრავად, მე თქვენ არ გიძახით.

— მაშ, რაიკოოპკავშირი შემეიერთეთ! — ვსთხოვე მორიგეს:

— რაიპროპკავშირი? ჰაა?... საავადმყოფოა! უკაცრავად, თქვენ არ გიძახით.

— აბა ერთი რედაქციას მაინც დამალაპარაკეთ! — ვსთხოვე სადგურს.

— რედაქცია? ჰაა? გურჯანიაა? ოჰ, თქვენი... გამაღობთ, თქვენ არ გიძახით! — და ჩამოვიკიდე ტელეფონის მილი და გამოვემზავრე.

უჩინარი.



# წერილი სოლისადმი, აბარაკაზე

# ხელი შეუხარა

ნახ. დონის

ქართული  
კომუნისტური

ნატო ჩემო, მატყობინებ,  
(აქ რა არის სათაკილო),  
რამოსვლისას ასი ვიყავი,  
ახლა გავხდი ას რვა კილო.  
თანაც დასძენ: — თუ კი გინდა  
უფრო მეტად გამასუქო,  
საჭიროა ფიზიანსური  
სახეობები გააუქმო.

აქ რვაასი რას მეყოფა,  
გამოგზავნე უფრო მეტი,  
რამ გავფხიკა? ხომ არ გახდი  
საქრადიო კომიტეტი?  
ამხიარი მოპყრობისთვის  
ვით მოგწერო აბა ქება?  
ვით ბიურო ამინდისა  
ტყუილებით რატომ მკვებავ?  
სულო, შენ რომ შეზი მითხარ  
ახლა ჩემიც გაიგონე:  
ასე რომ მწერ, თუ გგონია  
მილიონის ვიყო მქონე?  
ბევრს მატლოობ? ბევრსაც ხარ-  
ჯავ, შვიდ-  
ჯერ,

კილო ხორცი თუმანი ღირს,  
ასოც მანეთს რატომ მიჯენ?!  
სიციხისაგან ფულის შოვნის  
საქმე, სულო, ერთობ წახდა:  
ეს ოხერი, ჩემი მუზა,  
უხამს მწერთა მსხვერპლი გახდა.  
ბალონიჯოთა გადამკიდე,  
ჯანმრთელობას შენსას ვფიცავ,  
მათ ვერაგულ თავდასხმისგან  
ღლით თუ ღამით თავს ვერ გი-  
ვაგ.

აღარც ბრძოლა ხელჩარული,  
არც ჰიპრიტი, არც სხვა გაზი, —  
აღარ მშველის, ყოველ წუთში  
ბალონიჯოთა ხროვა მაზის.  
მითხარ: აბა რას გაჩდები,  
ასი შოვა მოჰკლა ერთი,  
ისინია იტალია,  
მე ვარ მათი აბაშეთი...  
მწერ: მიყიდე ფეხსაცმელი,  
შეიწუხე ჩემო, თავი,  
ზამზე უკვე მთლად გავცვითე,  
ლაკს ვადასძვრა ოთხგან ტყავი.  
მომისმინე: კიდევ გახსნეს  
აქ ფეხსაცმლის მაღაზია,  
ვიტრინები მორთული აქვს  
ყოველ მხრიდან ღამაზია,  
ღამაზია ყოველ მხრიდან,  
ყოველ მხრიდან ჰხიბლავს მყიდ-  
ველს,  
მაგრამ თვრამეტ წყვილ ტუფლს  
გასცვეთ  
შეგ სასყიდლად შევალ ვიდრე-  
საქვილეტის გადამკიდე  
შენს ლაკის ტუფლს ვგავარ, ნა-  
ტო.

დარჩენილი შინგან, ფული  
კონცერტებზე მყოფნის მარტო...  
ახლა ვგზავნი ექვსას მანეთს,  
ამ დღეებშიც მოელოდე,  
მოუფრთხილდი, ჩემი თუ არ,  
ფულის ხათრი მაინც გქონდეს.  
არაგვიოზა.

... აგორბის გავათავა  
სასტიკად აკრძალურია! ...



— დარჩი... ნუ გჯერა... ეს რადიო-ფორია!

## გადარჩენილი

იყო დარბაზი აღსაგენ ხალხით  
და ჭალზე ჰკრთოდა სინათლე მკრთალი.  
კინოში ვიყავ ჩემს ახლოს ქალის,  
მშვენიერ სახეს მოვკარი თვალი.  
მის გვერდით იჯდა ნაცნობი ჩემი  
გავესაუბრე. ჭალს გავეცანი.  
როცა ვუჭერეტი მშვენიერას უცხოს,  
ჩემი მეგონა ხმელეთი, ცანი.  
მისი ბაასი სიმღერას ჰგავდა.  
სახელად ერქვა, გაცნობილს ნელი.  
მზის შუქზე უფრო შვებით უკრთოდ  
სახე წარმტაცი და მიმზიდველი.  
უფრო დაბნეიდა .. გულში მესოდა  
უჩვევი გრძნობის აღმასის დანა,

„ან თან წავიყვან — ვფიქრობ გულში, —  
ან, სადაც წავა გავყვები თანა“.  
თუ თანაგრძობას ვერ ჰპოებს მასში  
გული უსაზღვრო ტრფობით დაჭრილ-  
გავიზიზნები სამშობლო მთებში  
ვით ტარიელი ველად გაჭრილი.  
უცებ განათდა, დასრულდა კინო,  
წამოიშალა დარბაზში ხალხი;  
გეგხედე მიჯნურს სინათლის შუქზე.  
და ჩემს ოცნებას დაეშვა თალხი.  
არ მიწერია ჩანს ველად გაჭრა,  
უგულოდ ვუთხარ: მშვენიერობით ნელ-  
თუმცა სული გაქვს ფაქიზი წმინდა,  
მაგრამ ხელი გაქვს დაუბანელი.  
ვედუზა.



# უცხოეთის იუმორი

ყველა კორჟილი ვი არ ვარის სტუმრისათვის სასიხარულო.

გაგანა იწვევს ჯოლანდის.


არჩევნული  
პოლიტიკა



— მადლობას მოგახსენებთ, ფეხზე დგომა მირჩევნია.



სტუმარი: — რა დემარტა თქვენს ფეხს? რატომ საშახურში არ არის?  
დიასახლისი: — ო, ის ძლიერ დავირთულია: ის ფაშიზმს უცდის. პროფესორებმა მასში აღმოაჩინეს კლასიკური არიული თავის ქალა.



კანაზი ბანკირი: — მე არ მეგონა ის ახეთი დიდი.  
— ეს იმიტომ, რომ თქვენ მას ყოველთვის მიწარეს ხედავდით.



ესეთ პირობებში ბანა უმშილია გავიძნეო?







# ნოენობი

ბრუნველი  
ბიზლირთქან



- გასულ წელსაც ამ აბარაკზე ვისვენებდი... ო, რა კარგი იყო!
- წელს სომ ეს აბარაკი უკეთესად არის მოწყობილი და პირობებიც უკეთესია.
- სამაგიეროდ აბარაკი არ იყო აკრძალული!

ნახ. თ. შერლინგის.

პ. მ. რედაქტორი ს. ვული

მთავლიტის რუმუნებული 0-10154.

ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“

რედაქციის მის. ჯორჯიაშვილის ქ. №5